

K 759  
3

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს

სოციალისტური საზოგადოება ჩეხოსლოვაკიის

# კონსტიტუცია

(ძირითადი კანონი)

(ცვლილებითა 1931 წ. დეკემბრის 31-სა)

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს  
საქმეთა მმართველობის დასაცემად

ტფილისი

1932



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს

სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის

# კონსტიტუცია

(ძირითადი კანონი)

(ცვლილებითა 1931 წ. დეკემბრის 31-მდე)

657



სახალხო კომისარათა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს  
სამხეთა მმართველობის განოცემა

ტ ბ ი ლ ი ს ი  
1932

საქარ. სახკომ-  
საბჭოს საქმეთა  
მმართველობის  
ფოტო-ლიტო-  
ტიპოგრაფია

მთავლ. № 2344.

ტირაჟი 1.500

საქართველოს  
პარლამენტი  
საბჭო-2000

## დადგენილება

სრულიად საპარტოვლო მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების მე-IV ყრილობისა

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) ტექსტის საბოლოოდ დამტკიცების შე-  
სახებ.

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დე-  
პუტატების საბჭოების მე-IV ყრილობა ადგენს:

სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) მე-5 მუხლისა და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) მე-4 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-III მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესიის მიერ 1926 წ. ივლისის 5 თარიღისა და 48 №-ის დადგენილებით მიღებული საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) ტექსტი დამტკიცებულ იქნეს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-IV ყრილობის  
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-IV ყრილობის  
მდივანი **ს. თოდრაია.**

1927 წ. აპრილის 4.  
ტფილისი.

[სსსრ კან. კრ. 1927 წ. № 4, მუხ. 60]

## დადგენილება

სრულიად საქართველოს საბჭოთა მ-III მოწვევის ცენტრალური აღმა-  
სრულავალი კომიტეტის მ-3 სესიისა

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი  
კანონის (კონსტიტუციის) დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღებ-  
ის შესახებ.

სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) მეხუთე მუხლისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) მეოთხე მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექსტი საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონისა (კონსტიტუციისა), მიღებული ცვლილებითა და დამატებით, დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ამა სესიის მიერ მიღებული საქართველოს ს. ს. რ. ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) ტექსტი საბოლოოდ დამტკიცებისათვის წარედგინოს სრულიად საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობას.

აფხაზეთის ს. ს. რ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი გადაამუშავებს აფხაზეთის ს. ს. რ. კონსტიტუციას იმ პრინციპების მიხედვით, რაც საფუძვლად დაედვა საქართველოს ს. ს. რ. კონსტიტუციას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრაია.**

1926 წ. ივლისის 5. № 48.

ტფილისი.

[სსსრ კან. კრ. 1926 წ. № 4, მუხ. 88]

# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს

## სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის

### კონსტიტუცია

(ძირითადი კანონი)

თ ა ვ ი I.

#### ზოგადი დებულებანი.

1. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია, ემყარება რა ოქტომბრის რევოლუციით აღიარებულ პროლეტარიატის დიქტატურის ძირითად პრინციპებს, მიზნად ისახავს უზრუნველყოს ეს დიქტატურა ზურგუაზიის საბოლოოდ დასათრგუნავად, ადამიანისაგან ადამიანის ექსპლოატაციის მოსასპობად და დასაყარებლად კომუნისმისა, როდესაც არ იქნება არც კლასებად დაყოფა და არც სახელმწიფო ხელისუფლება.

2. საქართველოს რესპუბლიკა არის მუშებისა და მშრომელი გლეხობის სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც შენდება ეროვნულ საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის საფუძველზე. საქართველოს საზღვრებში მთელი ხელისუფლება მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოებს ეკუთვნის.

3. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში უზენაესი ხელისუფლების მატარებელი სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეუტატების ყრილობაა, ხოლო ყრილობიდან ყრილობამდე—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

4. კაპიტალისტური გარემოცულობის პირისპირ საბჭოთა რესპუბლიკების ერთიანი ფრონტის შესაქმნელად, საბჭოთა რესპუბლიკების დასაცავად გარეშე საფრთხისაგან, მათი სამეურნეო და ეკონომიური წარმატებისათვის, ხალხთა ეროვნული განვითარების თავისუფლებისა და საერთაშორისო მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის, საქართველოს სო-

ცილისტური საბჭოთა რესპუბლიკა, თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 ყრილობის დადგენილებიდან, ნებაყოფლობით გაერთიანებულია ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე აზერბაიჯანისა და სომხეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკებთან; იგი მათთან ჰქმნის ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას, რომლის მეშვეობითაც შედის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

5. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სუვერენიტეტი შეზღუდულია მხოლოდ ხელშეკრულებების ძალით იმ ფარგლებში, რაც აღნიშნულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძირითად კანონსა და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციაში, და მარტოდენ იმ საკითხებში, რაც შეადგენს კომპეტენციას ამ სახელმწიფოებრივ განაერთთა, რომელნიც, თავის მხრივ, ვალდებულნი არიან დაიცვან საქართველოს სუვერენული უფლებანი.

6. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა იტოვებს უფლებას გამოვიდეს ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკიდან და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირიდან იმ წესით, რაც გათვალისწინებულია ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციაში.

7. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორია არ შეიძლება შეცვლილ იქნეს გარეშე მისი თანხმობისა.

8. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქე ერთსა და იმავე დროს არის ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქეც.

ყველა ის მოქალაქობრივი უფლება-მოვალეობა, რაც კი ამ კონსტიტუციით და რესპუბლიკის კანონმდებლობით დაწესებულია საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქისათვის, ვრცელდება რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფ კავშირის სხვა საბჭოთა რესპუბლიკის ყველა მოქალაქეზედ.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, იცავს რა ყველა ქვეყნის და ეროვნების მშრომელთა სოლიდარობას, ანიჭებს ყველა პოლიტიკურ უფლებას უცხოელებსაც, რომელნიც მის ტერიტორიაზე რაიმე შრომას ეწევიან და ეკუთვნიან მუშათა კლასს, აგრეთვე იმ გლეხობასაც, რომელიც არ სარგებლობს სხვისი შრომით.

9. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა აღიარებს მოქალაქეთა თანასწორობის უფლებას, მათი რასისა და ეროვნების დამოუკიდებლად, და ამიტომ მას რესპუბლიკის ძირითადი კანონების სრულადად შეუფერებლად მიიჩნია რაიმე (პირდაპირი ანუ არაპირდაპირი) უპირატესობის დაწესება და, მით უმეტეს, ეროვნულ უმცირესობათა რაიმე ჩაგვრა ან მათი თანასწორობის შეზღუდვა.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა აღიარებს აგრეთვე მის ტერიტორიაზე მოსახლე სხვადასხვა ხალხის უფლებას, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესი ორგანოს ნებართვით, გამოიყოს ავტონომიურ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკად ან ავტონომიურ ოლქად.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის შედგენილობაში, შემოადნიშნულ საფუძველზე შედიან: აფხაზეთის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, აჭარისტანის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი. [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

10. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობათ მინიჭებული აქვთ თავისუფალი განვითარებისა და მშობლიური ენის ხმარების უფლება როგორც საკუთარ ეროვნულ-კულტურულსა, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებებში.

11. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში ეკლესია ჩამოშორებულია სახელმწიფოსაგან და სკოლა ეკლესიისაგან და რელიგიური, ისევე ანტირელიგიური პროპაგანდის თავისუფლება აღიარებულია ყველა მოქალაქისათვის, იმ პირობით კი, რომ ამ პროპაგანდას არ ჰქონდეს არავითარი პოლიტიკური ან სოციალური მიზანი.

12. მშრომელთათვის აზრთა გამოთქმის ნამდვილი თავისუფლების უზრუნველსაყოფად საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა ანთავისუფლებს ბეჭდვით სიტყვას კაპიტალისაგან და აძლევს მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას ყოველგვარ ტენიკურ თუ მატერიალურ საშუალებას ბეჭდვითი ნაწარმოების გამოსაცემად და უზრუნველყოფს მისი გავრცელების თავისუფლებას რესპუბლიკაში.

13. მშრომელთათვის კავშირების და კრებების ნამდვილი თავისუფლების უზრუნველსაყოფად საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა ანიჭებს ყველა მშრომელს თავისუფალი გაერთიანების და ორგანიზაციის უფლებას, აგრეთვე ყოველგვარი კრების, მიტინგის, პროცესიის გამართვის უფლებას და ამ მხრივ უწყევს ყოველგვარ დახმარებას და უთმობს მუშათა კლასს და გლეხობას სახალხო კრებების მოსაწყობად ყველა გამოსადეგ სადგომს.

14. რათა მშრომელთათვის ნამდვილად ხელმისაწვდომი იქნეს ცოდნა, საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას დასახული აქვს მიზნად მისცეს ყველა მშრომელს სრული ყოველმხრივი და უფასო სწავლა-განათლება.

15. დიადი მუშურ-გლეხური რევოლიუციის მონაპოვართა დაცვისათვის საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას რესპუბლიკის ყველა მოქალაქის მოვალეობად მიაჩნია სოციალისტური სამშობლოს დაცვა, რისთვისაც აწესებს საყოველთაო სამხედრო ბეგარას. საპატიო უფლება—სოციალისტური სამშობლოსი და რევოლიუციის იარაღით დაცვა—მინიჭებული აქვთ მხოლოდ მშრომელთ, არამშრომელთ კი ეკისრებათ სხვა სამხედრო მოვალეობის შესრულება.

16. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში შრომა მიჩნეულია რესპუბლიკის ყველა მოქალაქის მოვალეობად.

17. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა თავის ტერიტორიაზე თავშესაფარს აძლევს ყველა უცხოელს, რომელიც დევნილია რევოლიუციის საკეთილად მიმართული პოლიტიკური მოღვაწეობისათვის.

18. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზედ მთლად მიწა, ტყე, წყალი, მიწის წიაღი, აგრეთვე ფაბრიკები და ქარხნები, რკინის გზის, წყლისა და საჰაერო ტრანსპორტი და კავშირის დასაქერი საშუალებანი შეადგენენ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ქონებას.

ამ ქონებით სარგებლობისა და მისი ექსპლოატაციის წესი განისაზღვრება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა, ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკისა და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კანონმდებლობით იმ კომპეტენციის ფარგლებში, რაც განსაზღვრულია თვითეული მათგანის კონსტიტუციით.

## თ ა ვ ი II.

### საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ხელისუფლების უწყებებს ორგანოთა გამგებლობის საზღვარი.

19. მარტოდენ სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობის გამგებლობას ეკუთვნის:

ა) საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის ძირითადი საფუძვლების დაწესება, შეცვლა და შევსება, აგრეთვე ამ კონსტიტუციის იმ ნაწილობრივი ცვლილებების საბოლოოდ დამტკიცება, რასაც სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მიიღებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობებს შუა;

ბ) საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საზღვრების შეცვლის საკითხების გადაწყვეტა იმ წესით, რაც გათვალისწინებულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძირითადი კანონით;

გ) ეროვნულ უმცირესობათათვის ავტონომიურ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკებად და ავტონომიურ ოლქებად გამოყოფის ნების დართვა, ავტონომიურ რესპუბლიკათა კონსტიტუციების და ავტონომიური ოლქების დებულებათა და აგრეთვე მათი შეცვლისა და შევსების საბოლოოდ დამტკიცება.

20. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობისა და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობას ეკუთვნის ყველა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხი, უკეთეს ის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძირითადი კანონით და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციით არ არის მიკუთვნებული საკავშირო და ამიერკავკასიის ფედერატიული ხელისუფლების უზენაეს ორგანოთა გამგებლობისათვის.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობისა და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობას ეკუთვნის:

ა) საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგო საშინაო პოლიტიკის და სახალხო მეურნეობის საერთო ხელმძღვანელობა;

ბ) საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიის საერთო საადმინისტრაციო დაყოფა და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების საზღვრების დაწესება;

გ) ავტონომიურ რესპუბლიკათა კონსტიტუციების და ავტონომიური ოლქების დებულებათა, მათ ცვლილებათა და დამატებათა დამტკიცება და აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებს შორის, აგრეთვე ამათსა და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სხვა ორგანოთა შორის დავა-ცილობის გადაწყვეტა;

დ) საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზედ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის კანონმდებლობასთან შეთანხმებით, მთელი სახალხო მეურნეობის და მისი ცალკე დარგების გეგმის დაწესება;

ე) საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ბიუჯეტის დამტკიცება და მისი შესრულებისათვის უზენაესი ზედამხედველობა;

ვ) საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კანონთა კოდექსების დამტკიცება და აგრეთვე საერთო სარესპუბლიკო კანონმდებლობა ისეთი საკითხების შესახებ, რომელნიც არ ეკუთვნიან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის გამგებლობას;

ზ) საერთო ამნისტიისა და შეწყალების უფლება იმ მოქალაქეთა მიმართ, რომელთაც მსჯავრი დაედოთ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სამოსამართლო და საადმინისტრაციო ორგანოების მიერ, და აგრეთვე უფლება რესპუბლიკის მოქალაქეთა პოლიტიკურ უფლებათა აღდგენისა;

თ) ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების საბჭოთა ყრილობებისა და მათი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა, აგრეთვე საბჭოთა სარაიონო ყრილობებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებების გაუქმება და შეჩერება, უკეთეს ეს დადგენილებანი არღვევენ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითად კანონს (კონსტიტუციას) და საკანონმდებლო ორგანოების დადგენილებებს;

ი) ყველა ის საკითხი, რაც კი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძირითადი კანონით და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციით არ ეკუთვნის მათ უზენაეს ორგანოთა კომპეტენციას და რასაც სრულიად საქარ-

თველოს საბჭოთა ყრილობა ან სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი თავისი გამგებლობის საგნადა სცნობენ. [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

21. აღნიშნული საკითხების გარდა სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობისა და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობას ეკუთვნის სხვა საკითხებიც, რომელნიც გათვალისწინებულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძირითადი კანონით და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციით და აგრეთვე საერთო საკავშირო და ამიერკავკასიის ფედერატიული კანონმდებლობით.

22. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის უზენაეს ორგანოთა დადგენილებებს იმ ფარგლებში, რაც განსაზღვრულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძირითადი კანონით და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციით, და იმ საკითხების შესახებ, რაც ამ სახელმწიფოებრივ განაერთა კომპეტენციას ეკუთვნის, სვალდებულო ძალა აქვთ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე. არავითარ სხვა ორგანოს, ამ გამონაკლისს გარეშე, გარდა სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობისა და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, ხოლო სათანადო შემთხვევაში მისი პრეზიდიუმის ან სახალხო კომისართა საბჭოსი, უფლება არ აქვს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზედ გამოსცეს საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკანონმდებლო აქტები.

### თ ა ვ ი III.

#### საბჭოთა ხალისუფლებების წუხოვილება.

##### ა) სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა.

23. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა შესდგება ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების საბჭოთა ყრილობების წარმომადგენელთაგან, საბჭოთა სარაიონო ყრილობების წარმომადგენელთაგან და რაიონების შედგენილობაში არ შემავალი ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების წარმომადგენელთაგან, ისეთი ანგარიშით, რომ

იმ დასახლებულ ადგილას, სადაც საბჭოებს ირჩევენ მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, თვითეულ 10.000 მცხოვრებზე მოდიოდეს ერთი დეპუტატი, ხოლო იმ დასახლებულ ადგილას, სადაც საბჭოებს ირჩევენ ამომრჩეველთა რიცხვის მიხედვით, თვითეულ 2.000 ამომრჩეველზე მოდიოდეს ერთი დეპუტატი. [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

24. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა ირჩევს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს თვით ყრილობის მიერვე განსაზღვრულ წევრთა რიცხვისას.

25. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობას იწვევს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ორ წელიწადში ერთხელ. [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

**შენიშვნა.** უკეთეს რაიმე საგანგებო გარემოება ხელს შეუშლის დაწესებულ ვადაზე სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობის მოწვევას, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს გადასდოს ყრილობის მოწვევა.

26. სრულიად საქართველოს საბჭოთა საგანგებო ყრილობას იწვევს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი როგორც საკუთარი თაოსნობით, ისე იმ კუთხის საბჭოთა და საბჭოთა ყრილობების მოთხოვნით, რომლის მცხოვრებთა რიცხვი საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მოსახლეობის ერთ მესამედზე ნაკლები არ არის, აგრეთვე საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში შემავალ ერთ-ერთი რესპუბლიკის საბჭოთა ყრილობის მოთხოვნით.

## ბ) სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და მისი პრეზიდიუმი.

27. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი არის საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის უზენაესი საკანონმდებლო, განმკარგულებელი და საკონტროლო ორგანო.

28. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი საკუთარი თაოსნობით გამოსცემს კოდექსებს, დეკრე-

ტებს და დადგენილებებს და აგრეთვე განიხილავს და დამატაციებს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ წარდგენილ კანონპროექტებს.

29. ყველა დეკრეტი და დადგენილება, რომელიც საზღვრავს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ზოგად ნორმებს, სახელმწიფო ბიუჯეტი და აგრეთვე ყველა ის აქტი, რაც არსებითად სცვლის რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოთა პრაქტიკას, განსახილველად და დასამატაციებლად უნდა წარედგინოს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

30. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი საერთო გეზით წარმართავს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის და ხელისუფლების ყველა ორგანოს მოქმედებას, აერთიანებს და ათანხმებს მუშაობას კანონმდებლობისა და მმართველობის დარგში და თვალყურს ადევნებს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციისა და სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობების დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას და აგრეთვე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაეს ორგანოთა დადგენილებების განხორციელებას.

31. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი პასუხისმგებელია სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობის წინაშე, რომელსაც წარუდგენს თავისი მოქმედების ანგარიშს და მოხსენებას საერთო პოლიტიკისა და საერთო სახელმწიფოებრივი ხასიათის ცალკე საკითხების შესახებ.

32. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს იწვევს მორიგ სესიებზე წელიწადში არა ნაკლებ სამი გზობისა სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სესიებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი იწვევს: ა) საკუთარი თაოსნობით, ბ) სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, გ) სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით და დ) საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკაში შემავალი ერთ-ერთი რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მოთხოვნით.

33. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ირჩევს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს და საზღვრავს მისი მოქმედების ფარგალს.

34. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აარსებს აგრეთვე სახალხო კომისართა საბჭოს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საერთო მმართველობისათვის და სახალხო კომისარიატებს—მმართველობის ცალკე დარგების ხელმძღვანელობისათვის.

35. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო, განმკარგულებელი და საკონტროლო ორგანო არის სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

36. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელით გამოსცემს დეკრეტებს, დადგენილებებს და განკარგულებებს და ამტკიცებს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მის განსახილველად წარმოდგენილ კანონპროექტებს.

37. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი თვალყურს ადევნებს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის ცხოვრებაში გატარებას და აგრეთვე ხელისუფლების ყველა ორგანოს მიერ სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობისა და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ყველა დადგენილების შესრულებას. იგი არის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანო როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე.

38. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა ნიშნავს, სახალხო კომისართა საბჭოს წარდგენით, სახალხო კომისართ, რომელთაც შემდეგ დასამტკიცებლად წარუდგენს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, ნიშნავს აგრეთვე სხვა უმაღლესი თანამდებობის პირთ, რომელთა დანიშვნა სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გათვალისწინებულია კანონით.

39. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი განიხილავს თხოვნას შეწყალებისა და პოლიტიკურ უფლებათა აღდგენის შესახებ.

40. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს უფლება აქვს შეაჩეროს და გააუქმოს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი, სახალხო კომისრებისა და ცენტრალური რესპუბლიკანური დაწესებულებებისა, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებანი და განკარგულებანი და აგრეთვე შეაჩეროს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქებისა და სარაიონო საბჭოების ყრილობათა დადგენილებანი. [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

41. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი საბოლოოდ სწყვეტს ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოთა შორის ურთიერთობის ნიადაგზე აღძრულ ყოველგვარ დავას.

42. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი თავისი მოქმედებისათვის პასუხისმგებელია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე.

### გ) საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

43. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო არის საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო; სახალხო კომისართა საბჭოს ეკუთვნის საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საერთო მმართველობა.

44. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მოაწყობს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი შემდეგი შედგენილობით: სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილენი, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, მუაშთა და გლეხთა ინსპექციისა, მიწათმოქმედებისა, ფინანსთა, მომარაგებისა, შრომისა, განათლებისა, ჯანმრთელობისა და სო-

ციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარნი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე და სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარე. [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (ან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

45. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო მოქმედობს სახალხო კომისართა საბჭოს დებულების ძალით და, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მინიჭებული უფლების ფარგალში, გამოსცემს დეკრეტებსა და დადგენილებებს, რომელთა ასრულება სავალდებულოა საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

46. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსდება რესპუბლიკის ეკონომიური საბჭო, რომელიც მოქმედობს განსაკუთრებული დებულების ძალით და, ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საერთო ხელმძღვანელობით, წარმართავს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიურ პოლიტიკას.

47. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო თავისი მოქმედებისათვის პასუხისმგებელია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და მისი პრეზიდიუმის წინაშე.

**დ) საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარიატები.**

48. სახელმწიფოებრივი მმართველობის იმ ცალკეული დარგების უშუალო ხელმძღვანელობისათვის, რაც საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს გამგებლობას ეკუთვნის, მოეწყობა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, მიწათმოქმედებისა, ფინანსთა, მომარაგებისა, შრომისა, განათლებისა, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატები, რომელნიც მოქმედობენ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული დებულებების თანახმად. იმავე ამოცანების განსახორციელებლად სრულიად, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის დადგენილებით, სახალხო კომისარიატების გარდა, შეიძლება დაარსებულ იქნეს აგრეთვე სხვა ცენტრალური ორგანოები, რომელნიც უშუალოდ დაექვემდებარებიან საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ან სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

49. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და მიწათმოქმედებისა, ფინანსთა, მომარაგებისა, შრომისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატები, ექვემდებარებიან რა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს, ანხორციელებენ თავიანთი მოქმედებით ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და სათანადო გაერთიანებული სახალხო კომისარიატების ღირებულებებსა და დავალებებს. [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

50. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარიატების სათავეში სდგანან სახალხო კომისარიატები—საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს წევრი.

51. სახალხო კომისარიატების მმართველობისათვის, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ან მისი პრეზიდიუმის დადგენილებით, შეიძლება სახალხო კომისრებთან, მათი თავმჯდომარეობით, დაარსდეს კოლეგიები, რომელთა წევრებს ნიშნავს სახალხო კომისართა საბჭო.

52. სახალხო კომისრებს უფლება აქვთ ერთპიროვნად გადასწყვიტონ ყველა საკითხი, რაც შესაფერი სახალხო კომისარიატის გამგებლობას ეკუთვნის. იმ სახალხო კომისარიატში, სადაც დაარსებულია კოლეგია, სახალხო კომისარმა ყველა ერთპიროვნად განკარგულება უნდა აცნობოს კოლეგიას. უკეთუ კოლეგია არ დაეთანხმება კომისრის გადაწყვეტილებას, მას ან მის თითოეულ წევრს შეუძლიან ეს გადაწყვეტილება, მისი აღსრულების შეუჩერებლივ, განასაჩივროს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში ან სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში.

53. სახალხო კომისრები და სახალხო კომისარიატებთან არსებული კოლეგიები თავისი მოქმედებისათვის პასუხს აგებენ საქართველოს სო-

ციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის წინაშე.

54. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და სახალხო კომისარიატების განკარგულებანი შეიძლება გააუქმონ სრულიად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, მისმა პრეზიდიუმმა და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ. უკეთეს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და ამა ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 49 მუხლში აღნიშნული სახალხო კომისარიატების განკარგულებანი დამყარებულ არ არიან სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმის ან საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დირექტივებზე, ამ დადგენილებების გაუქმება შეუძლიან აგრეთვე ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და სათანადო გაერთიანებულ სახალხო კომისარიატებს იმ შემთხვევაში, როდესაც ეს განკარგულებანი ეწინააღმდეგებიან მიცემულ დირექტივებს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონმდებლობას ან ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის კანონმდებლობას, [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

**ე) ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები: საბჭოთა სარაიონო ყრილობები, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები, დეპუტატთა საბჭოები და მათი აღმასრულებელი ორგანოები.** [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

55. რაიონის ტერიტორიაზე უმაღლესი ხელისუფლება ეკუთვნის, თავისი გამგებლობის ფარგლებში, საბჭოთა სარაიონო ყრილობას, ხოლო სარაიონო ყრილობებს შუა — სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს. [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

**მნიშვნა.** სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით ის ქალაქები, რომელთაც დიდი სამრეწველო მნიშვნელობა აქვთ და რომელნიც კულტურულ-პოლიტიკური ცენტრები არიან, გამოიყოფებიან, მათ გვერდით მდებარე სოფელ-ადგილებით, დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-

სამეურნეო ერთეულებად და ეს ერთეულები რაიონების შედგენილობაში არ შედიან. ამ ქალაქების საბჭოები უშუალოდ ექვემდებარებიან ხელისუფლების უმაღლეს რესპუბლიკანურ ორგანოებს.

[სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

56. საბჭოთა სარაიონო ყრილობაში მონაწილეობას იღებენ ყველა ამ რაიონის ტერიტორიაზედ არსებულ დეპუტატთა საბჭოს წარმომადგენელი. [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

57. საბჭოთა სარაიონო ყრილობა შესდგება რაიონის ტერიტორიაზედ არსებულ ადგილობრივ საბჭოთა წარმომადგენლებისაგან ისეთი ანგარიშით, რომ იმ ადგილის საბჭოსაგან, სადაც საბჭოს წევრებს მოსახლეობის საერთო რიცხვის მიხედვით ირჩევენ, თვითეულ 300 კაცზე მოდიოდეს ერთი დეპუტატი, ხოლო იმ ადგილის საბჭოსაგან, სადაც საბჭოს წევრებს ამომრჩეველთა საერთო რიცხვის მიხედვით ირჩევენ, თვითეულ 60 ამომრჩეველზე მოდიოდეს ერთი დეპუტატი. [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

**შენიშვნა.** ამოწმდება. [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

58. საბჭოთა მორიგ ყრილობებს იწვევენ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები წელიწადში ერთხელ. ყრილობებს რიგს გარეშე იწვევენ სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები: ა) საკუთარი თაოსნობით, ბ) სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობის ან სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მოთხოვნით და გ) ადგილობრივ საბჭოთა მოთხოვნით, სადაც საბჭო ამ რაიონის მოსახლეობის მესამედზედ ნაკლებს არ წარმოადგენს. [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

59. საბჭოთა სარაიონო ყრილობები ირჩევენ თავის აღმასრულებელ ორგანოებს — სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, რომელთა წევრთა რიცხვს საზღვრავს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

60. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები თავისი მოქმედებისათვის პასუხს აგებენ თავის ამომრჩეველ საბჭოთა სარაიონო ყრილობების წინაშე და ემორჩილებიან სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, მის პრეზიდიუმს და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს. [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

61. რაიონის მმართველობის მიმდინარე მუშაობის ხელმძღვანელობისათვის და ცენტრალური ხელისუფლების დეკრეტებისა და დადგენი-

ლებების ცხოვრებაში გასატარებლად, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები ირჩევენ პრეზიდიუმებს, რომელნიც აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებს შუა სარგებლობენ აღმასრულებელი კომიტეტის უფლებით და პასუხს აგებენ მის წინაშე თავისი მოქმედებისათვის. [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

62. რაიონის ტერიტორიაზე მმართველობის იმ დარგების უმეშვეო გამგებლობისათვის, რაც სარაიონო ხელისუფლების კომპეტენციას შეადგენს, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები აარსებენ განყოფილებებს, რომელთა ორგანიზაციას, სტრუქტურას და კომპეტენციას საზღვრავს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

63. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებანი უმეშვეოდ ემორჩილებიან სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და მათ პრეზიდიუმებს და ვალდებულნი არიან შეასრულონ როგორც შესაფერი სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის და მისი პრეზიდიუმის, აგრეთვე საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სათანადო სახალხო კომისარიატების ყველა ბრძანება და განკარგულება. [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

64. მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოები მოეწყობიან:

ა) სოფლად და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას, სადაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სოფლის მეურნეობას მისდევს, ისეთი ანგარიშით, რომ 100 მცხოვრებზე ერთი დეპუტატი მოდიოდეს;

ბ) ქალაქად და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას, სადაც მოსახლეობის უმეტესობა მუშებია, ისეთი ანგარიშით, რომ თვითეულ 200-დან 50-მდე ამომრჩეველზე მოდიოდეს ერთი დეპუტატი. [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

**შენიშვნა 1.** ამოშლიდა. [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 91)].

**შენიშვნა 2.** მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და ფლოტის ჯარის ნაწილები იმ ადგილებში, სადაც დანარჩენი მოსახლეობა დეპუტატებს ირჩევს მცხოვრებთა საერთო რიცხვის მიხედვით, ირჩევენ თავის დეპუტატებს საბჭოებში იმ ანგარიშით, რომ ერთი დეპუტატი მოდიოდეს 50 ამომრჩეველზე, ხოლო იმ ადგილებში, სადაც მოსახლეობა ირჩევს დეპუტატებს ამომრჩეველთა რიცხვის მიხედვით — ირჩევენ დეპუტატებს იმავე ანგარიშით, როგორც დანარჩენი მოსახლეობა.

**შენიშვნა 3.** იმ ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების სიას, სადაც საბჭოს დეპუტატებს ამა მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნული ანგარიშის მიხედვით ირჩევენ, დაადგენს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც, ამასთანავე, განსაზღვრავს თვითეული ამ ქალაქისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილისათვის დეპუტატების რიცხვს. [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

65. დეპუტატთა საბჭოების ხელ-ახალი არჩევნები ხდება წელიწადში ერთხელ.

66. ამოშლილია. [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

67. ქალაქის და სოფლის საბჭოთა აღმასრულებელ ორგანოებს, მათ ორგანიზაციას და გამგებლობის ფარგალს აწესებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

68. დეპუტატთა საბჭოებს იწვევენ მათი აღმასრულებელი ორგანოები საკუთარი თაოსნობით ან საბჭოს წევრთა რიცხვის არა ნაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით.

69. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, საბჭოთა სარაიონო ყრილობების, დეპუტატთა საბჭოების და მათი აღმასრულებელი ორგანოების გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) ღონისძიებანი შესაფერი კუთხის კულტურული და სამეურნეო განვითარებისათვის;

ბ) ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენა და დამტკიცება;

გ) ხელისუფლების სათანადო უმაღლესი ორგანოების დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება;


დ) გადაწყვეტა საკითხებისა, რომელთაც უწყებულნი ტერიტორიისათვის ადგილობრივი მნიშვნელობა აქვთ;

ე) შესაფერი ტერიტორიის ფარგლებში საბჭოთა მოღვაწეობის გაერთიანება;

ვ) შესაფერი ტერიტორიის ფარგლებში რევოლუციონური კანონიერების უზრუნველყოფა;

ზ) შესაფერი ტერიტორიაზედ სახელმწიფოებრივი წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა;

თ) საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების განხილვა როგორც საკუთარი თაოსნობით, ისე ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების



ნოების წინადადებით. [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

70. საბჭოთა სარაიონო ყრილობანი და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები კონტროლს უწევენ ადგილობრივ საბჭოთა და მათ აღმასრულებელ ორგანოთა მოქმედებას. [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

71. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიანთ თავისი პასუხისმგებლობით შეაჩერონ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარიატების განკარგულებათა ცხოვრებაში გატარება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ განსაზღვრული წესით. [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

### გ) სასამართლო და საპროკურორო ზედამხედველობა.

72. მუშათა და გლეხთა სახელმწიფოსი და მშრომელთა სამართლებრივი დაცვისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცებისათვის და აგრეთვე იმისათვის, რომ ნამდვილად უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფოსი და მშრომელთა სამეურნეო ინტერესები, საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში მოქმედობს ერთიანი სახალხო სასამართლო და მასთან არსებული საპროკურორო ზედამხედველობა. სახალხო სასამართლო მოწყობილია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მიერ დადგენილ საფუძვლებზედ და მოქმედობს იმ საპროცესო წესით, რომლის ძირითად საფუძველს საზღვრავს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

73. სამოსამართლო ორგანოები და საპროკურორო ზედამხედველობა ხელმძღვანელობენ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობით, რომლის საფუძვლები დადგენილია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მიერ, და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედი კანონებით, ხოლო იმ შემთხვევაში, უკეთეს კანონი არ არსებობს ან სრული არ არის, სასამართლო და საპროკურორო ზედამხედველობა ხელმძღვანელობენ საბჭოთა კანონმდებლობის საერთო აზრით და მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ინტერესებით.

ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკები და ოლქები.

74. ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები მოწყობილია ამ კონსტიტუციის საფუძვლების მიხედვით.

75. ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციებს და ავტონომიური ოლქების დებულებებს მიიღებენ მათი საბჭოთა ყრილობანი, დასამტკიცებლად წარუდგენენ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, ხოლო საბოლოოდ დასამტკიცებლად — სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობას.

76. ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკებისა და ოლქების ტერიტორიის ფარგლებში ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები არიან მათი საბჭოების ყრილობები, ხოლო ყრილობებს შუა პერიოდში — მათ მიერ არჩეული ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები.

77. ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების და ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები თავის წრიდან ირჩევენ პრეზიდიუმებს, რომელნიც ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების სესიებს შუა არიან ავტონომიური რესპუბლიკის და ოლქის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები.

78. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები სახელმწიფოებრივი მმართველობის ავტონომიური დარგების უშუალო ხელმძღვანელობისათვის (განათლება, ჯანმრთელობა, სოციალური უზრუნველყოფა, ადმინისტრატიული ზედამხედველობა და მმართველობა, მილიცია და სასამართლო) მოაწყობენ სათანადო რესპუბლიკანურ და საოლქო ორგანოებს და აგრეთვე იმ ორგანოებს, რომელნიც ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ტერიტორიაზე განაგებენ სახელმწიფოებრივი მმართველობის გაერთიანებულ დარგებს (მიწათმოქმედება და მრეწველობა). ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან იმყოფებიან აგრეთვე საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ფინანსთა, შრომისა, მომარაგებისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატების რწმუნებულნი.

ის ორგანოები, რომელნიც ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში განაგებენ მიწათმოქმედებას და მრეწველობას, ექვემდებარებიან

რა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, განახორციელებენ თავიანთი მოქმედებით საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დირექტივებსა და დავალებებს. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარიატების რწმუნებულნი, არიან-რა ამ კომისარიატების ორგანოები ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში, ანგარიშს თავიანთ მოქმედებისას აგებენ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების წინაშე. [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

79. ამოშლიდა. [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

80. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ, ადგილობრივი პირობების მიხედვით, შეამცირონ ამა ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 78 მუხლით გათვალისწინებული ორგანოების რიცხვი და ზემოაღნიშნული ფუნქციებიდან რამდენიმე ფუნქცია გააერთიანონ ერთი ორგანოს ხელმძღვანელობის ქვეშ [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

81. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაეს ორგანოთა მიერ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე გასავრცელებლად გამოცემულ კოდექსებს, დეკრეტებს და დადგენილებებს სავალდებულო ძალა აქვთ ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქების ტერიტორიაზე.

82. ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ სახელმწიფოებრივი მმართველობის იმ დარგში, რასაც ავტონომიურად განაგებენ, და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის იმ კანონმდებლობის განსავითარებლად, რაც საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება, გამოსცენ საკანონმდებლო აქტები, რომელთაც სავალდებულო ძალა აქვთ ამ რესპუბლიკების ტერიტორიაზე.

**შენიშვნა.** ავტონომიური ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ გამოსცენ დადგენილებანი ამ მუხლით აღნიშნულ ფარგლებში, რომელთაც ავტონომიური ოლქების ტერიტორიაზე სავალდებულო ძალა აქვთ სრულიად საქართველოს საბჭოთა

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ან მისი პრეზიდიუმის მიერ დამტკიცების შემდეგ.

თ ა ვ ი V.

(83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91 მუხ.) ამოშლილად. [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

თ ა ვ ი VI.

დავუბატთა საბჭოების არჩევნები.

ა) აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება.

92. უფლება აირჩიოს და არჩეულ იქნეს საბჭოში ეკუთვნის, ეროვნებისა, რასისა, ბინადრობისა და სხვ. განურჩევლად, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ორივე სქესის შემდეგ მოქალაქეთ, რომელთაც არჩევნების დღისათვის 18 წელი შესრულებიათ:

ა) ვინც ცხოვრების სახსარს სარგო და ზოგად-სასარგებლო შრომით პოულობს და აგრეთვე ვინც შინაურ მეურნეობას ეწევა და ამით შესაძლებლობას აძლევს პირველთ გასწიონ სარგო შრომა;

ბ) ჰუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და წითელი ფლოტის წითელარმიელთ და წითელფლოტელთ;

გ) ამ მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში ჩამოთვლილ პირთ, რომელთაც მეტად თუ ნაკლებად დაუკარგავთ შრომის უნარი.

**შენიშვნა.** აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებით საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეებთან თანასწორად სარგებლობენ ის პირნიც, ვინც ამ კონსტიტუციის მე-8 მუხლშია აღნიშნული, თუ ისინი შეეფერებიან ამ მუხლით გათვალისწინებულ პირობებს.

93. ვერ აირჩევენ და ვერ იქნებიან არჩეულნი, თუნდაც ეკუთვნოდნენ მოქალაქეთა ერთ-ერთს 92 მუხლში ჩამოთვლილ კატეგორიას:

ა) ვინც მოგების მიზნით სარგებლობს დაქირავებული შრომით;

ბ) ვინც უშრომოდ მიღებული შემოსავლით ცხოვრობს, როგორცაა: კაპიტალის სარგებელი, საწარმოს შემოსავალი, ქონების შემოსავალი და სხვ.

გ) ვინც კერძო ვაქრობას და აგრეთვე სავაჭრო და საკომერციო შუამავლობას ეწევა;

დ) ბერები და ყველა საწმენოებისა და რჯულის რელიგიური კულტების სასულიერო მსახურნი, რომელთათვის კულტის მსახურება პროფესიას წარმოადგენს;

ე) ვინც მსახურობდა მეფის მთავრობასთან პოლიციასა და ჟანდარმთა ცალკე კორპუსში და დამცველ განყოფილებაში და საქართველოს მენშევიკურ მთავრობასთან შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო რაზმში, რუსეთში ყოფილი მეფის საგვარეულოს წევრი, აგრეთვე ის პირნიც, ვინც ხელმძღვანელობას უწევდნენ პოლიციას, ჟანდარმერიას და დამსჯელ ორგანოებს;

ვ) ვისაც სისხლის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით გადაწყვეტილი აქვს სასჯელი, რომელსაც თან სდევს უფლებათა შეზღუდვა, სასამართლოს განაჩენით დადგენილ ვადად;

ზ) ვინც დადგენილი წესისამებრ ცნობილია სულით-ავადმყოფად ან შეშლილად.

## ბ) არჩევნების წარმოება.

94. არჩევნები სწარმოებს ადგილობრივ საბჭოთა ან მათ აღმასრულებელ ორგანოთა მიერ დანიშნულ დღეს.

95. არჩევნების წარმოების წესს და აგრეთვე არჩევნებში პროფესიონალურ და მუშათა სხვა ორგანიზაციების მონაწილეობას საზღვრავს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ან მისი პრეზიდიუმი.

## გ) არჩევნების შემოწმება და გაუქმება და დეპუტატების უკან გაწვევა.

96. საბჭოებში არჩევნების სისწორეს ამოწმებენ საარჩევნო კომისიები, ხოლო საბჭოთა ყრილობისათვის არჩეული დელეგატების უფლებამოსილობის სისწორეს — ყრილობათა სამანდატო კომისიები.

97. უკეთუ ესა თუ ის დეპუტატი არ იქნა დამტკიცებული, საბჭო ნიშნავს ახალ არჩევნებს.

98. უკეთუ არჩევნები საერთოდ სწორედ არ იქნა წარმოებული, მათი გაუქმების საკითხს სწყვეტს საბჭოთა ხელისუფლების რიგით უმაღ-

ლესი ორგანო. საბჭოთა არჩევნების კასაციისათვის უმაღლესი ორგანო არის სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ან მისი პრეზიდიუმი.

99. ამომრჩევლებს, რომელთაც გაუფხავნიათ დებუტატი საბჭოში, ყოველ დროს აქვთ უფლება უკან გაიწვიონ იგი და მოახდინონ ახალი არჩევნები.

## თ ა ვ ი VII.

### საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საბიუჯეტო უწყება.

100. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო შემოსავალი და გასავალი გაერთიანებულია საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საერთო-სახელმწიფო ბიუჯეტად. [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

101. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საერთო სახელმწიფო ბიუჯეტი შედის როგორც შემადგენელი ნაწილი ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტში და უკანასკნელთან ერთად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტში.

102. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საერთო სახელმწიფო ბიუჯეტს, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში განხილვის შემდეგ, ამტკიცებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მეშვეობით ეს ბიუჯეტი წარედგინება ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—მის მიერ დასამტკიცებელ ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანად.

103. ამომწოდია. [სრ. საქ. საბჭოთა VI ყრილობის 1931 წ. თებერვლის 19 დადგ. (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92)].

104. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის, განხილვის, დამტკიცების და შესრულების წესს საზღვრავს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმა-

სრულებული კომიტეტი საერთო-საკავშირო და ამიერკავკასიის საფედერაციო საბიუჯეტო კანონმდებლობის ფარგლებში.

105. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საერთო-სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის წყაროები და აგრეთვე გასავალიც, რომელიც მიკუთვნებულია ამ ბიუჯეტზედ, განისაზღვრებიან ამიერკავკასიის კანონმდებლობით საერთო-საკავშირო საბიუჯეტო კანონით დადგენილ ფარგლებში.

106. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყოველგვარი გადასახადი და გამოსაღები წესდება საერთო-საკავშირო კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

107. სახელმწიფო ხაზინიდან არც ერთი ხარჯის გაწევა არ შეიძლება, თუ ამისათვის კრედიტი არ იქნება დაწესებული შემოსავალ-გასავლის სახელმწიფო განრიგებაში, ან თუ ამას სავანგებოდ არ დაადგენენ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოები.

108. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის შემოსავალ-გასავლის განრიგებაში შეტანილი ხარჯი გაწეულ უნდა იქნეს ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში და ხმარდებოდეს მარტოოდენ თავის პირდაპირ დანიშნულებას.

109. ყველა ადგილობრივი შემოსავალ-გასავალი ერთიანდება ადგილობრივ ბიუჯეტებად საერთო-საკავშირო და ამიერკავკასიის საფედერაციო ძირითადი კანონმდებლობის წესით და აგრეთვე უკანასკნელის განსავითარებლად საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში გამოცემული კანონების მიხედვით. ამრიგადვე განისაზღვრება ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენის, განხილვის, დამტკიცების და შესრულების წესიც.

110. იმ ხარჯების დასაფარავად, რაც გაწეულ უნდა იქნეს ადგილობრივ სახსრიდან, ადგილობრივ საშემოსავლო წყაროები—სავადასახადო და არასავადასახადო—მიეცემათ საერთო-საკავშირო და ამიერკავკასიის საფედერაციო ძირითადი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში მის განსავითარებლად გამოცემულ საკანონმდებლო აქტების მიხედვით.

111. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს ამტკიცებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

თ ა ვ ი VIII.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის დედაი, დროშა  
და დედაქალაქი.

112. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ღერბი წარმოადგენს რგვალ წითელ არეს; ზემო ნაწილში გამოსახულია ბრწყინვალე ხუთწვეტიანი ვარსკვლავი, რომლის სხივებიც მიმოფენილია მთელს არეზე; ქვემო ნაწილში—თოვლიანი მთაგრეხილი ტრედის ფერისა; მარჯვნივ—ოქროს თავთავი, მარცხნივ—ოქროს ვაზები ყურძნის მტევნებით; ვაზებისა და თავთავების ბოლოები ერთმანეთშია გადახლართული მთაგრეხილის ძირში, არეს ქვემო ნაწილში. შუაგულის უდიდესი ნაწილი უჭირავს ოქროს ნამგლისა და უროს გამოხატულებას, რომლებიც ებჯინებიან ზემოთ—მოელვარე ვარსკვლავს, ქვემოთ—მთაგრეხილის მწვერვალს, ხოლო გვერდზე—თავთავებსა და ვაზებს. არეს გარშემო მოთავსებულია ქართული, რუსული და ფრანგული წარწერა: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“. ღერბი გარშემოვლებულია ქართული სტილის ორნამენტების არშიით.

113. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის დროშა შესდგება წითელი ფერის ქსოვილისაგან. მის მარცხენა კუთხეში ზემო ოთხკუთხედში, რომლის მხარეებიც უდრიან ქსოვილის მთელი სიგრძის ერთს მეოთხედს, მოთავსებულია ოქროს ასოებით წარწერა ქართულად „ს. ს. ს. რ.“

114. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის დედაქალაქი არის ქალაქი ტფილისი.



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს  
ზ ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ს ა ბ ჯ ო თ ა რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს  
ლ ე რ ბ ი

ს.ს.ს.რ.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს  
ზ ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ს ა ბ ჯ ო თ ა რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს  
ს ა ხ ი ლ მ შ ი ვ ო რ ო დ რ ო შ ა

## ს ა რ ჩ ე ვ ი

დადგენილება სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმი-  
ელთა დეპუტატების საბჭოების მე-IV ყრილობისა საქართველოს სოციალის-  
ტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) ტექსტის  
საბოლოოდ დამტკიცების შესახებ.

დადგენილება სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-III მოწვევის ცენტრა-  
ლური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესიისა საქართველოს სოციალისტური  
საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) დამტკიცებისა და  
სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

### ს ა ძ ა რ თ ე ვ ე ლ ო ს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ა (ძირითადი კანონი)

	გვ.ს.
თავი I. ზოგადი დებულებანი . . . . .	1—18
თავი II. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ხელის- უფლების უზენაეს ორგანოთა გამგებლობის საგნები . . . . .	19—22
თავი III. საბჭოთა ხელისუფლების წყობილება	
ა) სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა . . . . .	23—26
ბ) სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრუ- ლებელი კომიტეტი და მისი პრეზიდიუმი . . . . .	27—42
გ) საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სა- ხალხო კომისართა საბჭო . . . . .	43—47
დ) საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარიატები . . . . .	48—54
ე) ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები: საბჭოთა სა- რაიონო ყრილობები, სარაიონო აღმასრულებელი კომი- ტეტები, დეპუტატთა საბჭოები და მათი აღმასრულებელი ორგანოები . . . . .	55—71
ვ) სასამართლო და საპროკურორო ზედამხედველობა . . . . .	72—73
თავი IV. ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკები და ოლქები . . . . .	74—82
თავი VI. დეპუტატთა საბჭოების არჩევნები	
ა) აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება . . . . .	92—93
ბ) არჩევნების წარმოება . . . . .	94—95
გ) არჩევნების შემოწმება და გაუქმება და დეპუტატების უკან გაწვევა . . . . .	96—99
თავი VII. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სა- ბიუჯეტო უფლება . . . . .	100—111
თავი VIII. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ღერ- ბი, დროშა და დედაქალაქი . . . . .	112—114
ტაბულა—საქართველოს სსრ ღერბი და სახელმწიფო დროშა.	

